# არა ფობიას!

MDF-ისა და GDI-ის ყოველკვირეული ბიულეტენი

## კვირის მიმოხილვა

# 36, 24-30 ნოემბერი



24-30 ნოემბრის პერიოდში შემდეგი ტენდენციები გამოიკვეთა:

- სიძულვილის ენა და ძალადობისკენ მოწოდება ტრადიციულად ნაციონალური მოძრაობის მიმართ სამართლიანობის აღდგენის კონტექსტში იყო გამოხატული;

- კვლავ აქტუალური იყო ანტითურქული განწყობები, რომელსაც პატრიოტთა ალიანსის წევრები, მედია-კავშირი "ობიექტივი", ინტერნეტ-პორტალი Geworld.ge და სხვა რესპონდენტები ავითარებდნენ. მიწის საკუთრების საკითხების გარდა, ამ თემაზე საუბრისას სპეკულაციები თურქეთის, როგორც რუსეთის საპირწონე ოკუპანტის წარმოჩენას უკავშირდებოდა;

- ქსენოფობიური გამოხატვა ოსების და აფხაზების მიმართ ტელე წამყვანის ("კავკასია"), ხოლო სომხების და რუსების მიმართ რესპონდენტის მხრიდან იჩენდა თავს;

- სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში საფრთხეებზე დაუსაბუთებელ აპელირებას რესპონდენტი ევროკავშირის საგრანტო პროგრამას უკავშირებდა;

გაგრძელება გვ. 2

## რეაგირება

### არასამთავრობოები იეჰოვას მოწმეთა დისკრიმინაციის შემთხვევის რუსთავი 2-ს თვითრეგულირების ფორმატში განხილვას მოითხოვენ




მედიის განვითარების ფონდი - MDF, საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა - GDI, ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი - TDI, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი - EMC ტელეკომპანია რუსთავი 2-ის თვითრეგულირების ორგანოს საჩივრით მიმართავენ. ორგანიზაციები 26 ნოემბერს გასულ გადაცემა "ნანუკას შოუში", რომელიც იეჰოვას მოწმეთა მიმართ დისკრიმინაციულ გამოხატვას შეიცავდა, მაუწყებელთა ქცევის კოდექსის დებულებათა დარღვევის ფაქტების შესწავლას და განხილვას ითხოვენ.

გაგრძელება გვ. 9

## შინაარსი



| | |
|---|---|
| სიძულვილის ენა | 2 |
| ძალადობისკენ მოწოდება | 2 |
| თურქოფობია | 2-3 |
| ქსენოფობია | 3-4 |
| საფრთხეებზე დაუსაბუთებელი აპელირება | 4 |
| რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია | 5 |
| ჰომოფობია | 5-6 |
| გენდერული სტერეოტიპები | 6 |
| ანტიდასავლური განწყობები | 6-9 |





ბიულეტენის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს USAID მეშვეობით იქნა გაწეული. ბიულეტენის შინაარსზე პასუხისმგებელია MDF და GDI და შესაძლოა, არ ასახავდეს USAID-ის და აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.

## კვირის მიმოხილვა

დასაწყისი გვ. 1

- რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია ძირითადად იეჰოვას მოწმეთა მიმართ იყო გამოხატული და რუსთავი 2-ის გადაცემა "ნიჭიერის" მონაწილის მიერ მრწამსის შეცვლის გადაწყვეტილებას უკავშირდებოდა;
- ჰომოფობია როგორც ჟურნალისტების, ასევე რესპონდენტების მხრიდან იყო გამოხატული;
- ანტიდასავლურ განწყობებს როგორც პოლიტიკოსები, ასევე სხვა რესპონდენტები და მედიის წარმომადგენლები აღვივებდნენ.



**დავით თარხან-მოურავი, პატრიოტთა ალიანსი:** „...ჩვენ უნდა მოვითხოვოთ სწორედ ამ რეჟიმის გასამართლება... ვინც დღესაც აჭარაში ფაქტიურად თურქეთის შემოსვლას უწყობს ხელს... მიწას ყველა დაეპატრონა აჭარელი დღესაც ვერ ეპატრონება მიწას."

## სიძულვილის ენა

### ასავალ-დასავალი, 24-30 ნოემბერი

**ლალი ანთია, ყოფილი პატიმარი:** „ეს ის დროა, როცა მიშას [სააკაშვილს] ზუგდიდში ესროლეს... ნეტავ, მაშინ მოეკლათ ეგ ღორის ტილი, საქართველო გადარჩებოდა და ქვეყანა არ დაიღუპებოდა...

ეს თვალებმოჭუტული იეღოველი, ეს ბრუციანი ბოკერია იყო ზურაბ ჟვანიას დაუძინებელი მტერი! ეგ ბიჭი საერთოდ შექმნილია სიძულვილისთვის და მაგას მამაზეციერი აუცილებლად მიუზღვავს საკადრისს...

ღმერთო, არ აცოცხლო და ჰაერში დაწვი ისინი!"

### ასავალ-დასავალი, 24-30 ნოემბერი

**რობერტ სტურუა, რეჟისორი:** "იუდებო, მტრებო ქართველობისა, გვარშეცვლილო უნიჭოთა მოდგმავ [ნაციონალური მოძრაობის 15 ნოემბრის აქციის მონაწილეები]! დადგა თქვენი აღსასრულის დღე!"

## ძალადობისკენ მოწოდება

### Geworld.ge, 26 ნოემბერი

**ალექსანდრე ჭაჭია, პოლიტოლოგი:** "ხალხი ლამის ლინჩის წესით გასამართლებაზე გადავიდეს, რადგან "ქართული ოცნებისა" და მისი ლიდერის მთავარი დაპირება, რომ სამართლიანობა აღდგებოდა, შეუსრულებელია."
http://www.geworld.ge/View.php?ArtId=6333&lang=ge

## თურქოფობია

### ობიექტივი, ღამის სტუდია, 26 ნოემბერი

**დავით თარხან-მოურავი, პატრიოტთა ალიანსი:** „ეს იქნება მიტინგი, რომელზეც ჩვენ უნდა მოვითხოვოთ სწორედ ამ რეჟიმის გასამართლება... ვინც დღესაც აჭარაში ფაქტიურად თურქეთის შემოსვლას უწყობს ხელს, დღესაც კი აგრძელებს ამას თავისი ქმედებებით. საერთოდ აჭარაში რა რთული ვითარებაა, კაცო. მიწას ყველა დაეპატრონა აჭარელი დღესაც ვერ ეპატრონება მიწას."
http://www.myvideo.ge/?video_id=2461764

### ობიექტივი, ღამის სტუდია, 27 ნოემბერი

**გიორგი მაღლაკელიძე, პატრიოტთა ალიანსი:** „აჭარაში ნამდვილად არსებული მოვლენები ძალიან დიდ ყურადღებას იმსახურებს, განსაკუთრებით ის საფრთხეები, რაც მას უდგას თურქეთის მხრიდან, როგორც დემოგრაფიული, ისე ეკონომიკური ექსპანსია, რაც იქ ხორციელდება."
http://www.myvideo.ge/?video_id=2460649

გაგრძელება გვ. 3

## თურქოფობია

### ობიექტივი, ღამის სტუდია, 27 ნოემბერი

**ბონდო მძინარაშვილი, ჟურნალისტი:** ,,...[ნაციონალურმა მოძრაობამ] ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ქართული ქალაქ-ბათუმი და ქართული რეგიონი, აჭარა - დღეს უკვე გათურქებულიყო და პირდაპირ საფრთხე გაჩენილიყო."
http://www.myvideo.ge/?video_id=2460644

### ობიექტივი, ღამის სტუდია, 25 ნოემბერი

**სოსო ზაალიშვილი, წამყვანი:** ,,ერთი მხრივ, არის რუსეთი, მეორე მხრივ არის თურქეთი, რომლისგანაც ჩვენ პრაქტიკულად, ორივესგან სერიოზული აგრესია მოდის საქართველოს მიმართ და ეხლა ამ შემთხვევაში, ის რომ აფხაზებმა გააფორმეს ეს ხელშეკრულება რუსეთთან, ამაში არაფერი არ არის, ასე ვთქვათ, ჩემთვის გაუგებარი..."
**http://www.myvideo.ge/?video_id=2459131**

### GEWORLD.GE, 26 ნოემბერი

**ეკა ნასყიდაშვილი, ჟურნალისტი:** ,,პოლიტოლოგები ცხელ რეგიონად მიიჩნევენ აჭარას, სადაც, თურქების გალაღების გამო, ადგილობრივი მოსახლეობა დიდი პრობლემების წინაშე დგას, უკვე ეთნიკური კონფლიქტებიც შეინიშნება, მაგრამ არანაკლებ პრობლემური ტერიტორიაა სამცხე -ჯავახეთი, რომელზეც ამბობენ, რომ "გაუთამაშებელი კარტია".
http://geworld.ge/View.php?ArtId=6327

### GEWORLD.GE, 26 ნოემბერი

**ლერი ოქრომელიძე, ასპინძის მკვიდრი:** ,,წინათ ლეკიანობა იყო, ახლა კი თურქობა დაიწყო!
http://geworld.ge/View.php?ArtId=6327

### GEWORLD.GE, 26 ნოემბერი

**მერაბ ბლადაძე, არასამთავრობო ორგანიზაცია:** ,,როცა შენს საზღვარზე თურქი მესაზღვრე გადმოდის, ძაღლებს გიქსევს და საქონელს იპარავს, თანაც თუ შეიარაღებული დაჯგუფებაა, საშინელებასთან გვაქვს საქმე."
http://geworld.ge/View.php?ArtId=6327

### ობიექტივი, ღამის სტუდია, 27 ნოემბერი

**ტელემაყურებელი:** ,,თავისთავად ცხადია, რუსეთს აგებინო და მიაწვე ანექსიაზე და თურქეთს ტაში დაუკრა და გულში ჩაიხუტო, ეს იქნება დიდი აბსურდი... თავისთავად ცხადია, რომ ნახავს ის, რომ ესეთი ბრიყვი ერია და თურქებზე თვალს ხუჭავენ, წაიღებს იმას, რაც პრაქტიკულად, ხელში ჩაუვარდება..."
http://www.myvideo.ge\/?video_id=2460655




**დავით აქუბარდია, წამყვანი:** ,,...რა, გონებით აჯობა ანწუხელიძემ იმ ვირთხებს იქა, ოს ვირთხებს..."

## ქსენოფობია

### კავკასია, სპექტრი, 24 ნოემბერი

**დავით აქუბარდია, წამყვანი:** ,,...ანწუხელიძის მოვლენა - ეს ხომ ფენომენალური ვაჟკაცობის და ტრიუმფია გონებისა, რა, გონებით აჯობა ანწუხელიძემ იმ ვირთხებს იქა, ოს ვირთხებს..."
http://www.myvideo.ge/?video_id=2457550

### კავკასია, სპექტრი, 28 ნოემბერი

**დავით აქუბარდია, წამყვანი:** ,,მე იქ რამდენიმე არასამთავრობო ამ აფსუებს შევხვდი. მაპატიეთ და შეზღუდული, მაპატიეთ და მასშტაბებისა და ხედვების ბიჭები და გოგოები გავიცანი...

არ ვიცი ალბათ საზოგადოებამ უნდა შექმნას ადმიანები, ვინც დავუშვათ, სწორ ორიენტირებს დაუსახავდა. არავინ არ უსახავს, თვითგანადგურების მუხტი უდევთ."
http://www.myvideo.ge/?video_id=2460782

გაგრძელება გვ. 4

## ქსენოფობია

**კავკასია, სპექტრი, 28 ნოემბერი**

**ირაკლი მაჭავარიანი, შერეული საკონტროლო კომისიის ყოფილი ხელმძღვანელი:** “...არა, სომხეთი ორმაგ თამაშს თამაშობს და სომხები ეშმაკი ხალხია და ეს სხვაა... რუსეთს ყველაფერი უნდა კაცო!.. იდიოტები არიან. ეგ ავადმყოფი ერია... მანიაკალური მისწრაფება აქვთ ტერიტორიის გაფართოებისკენ.”

http://www.myvideo.ge/?video_id=2461052
http://www.myvideo.ge/?video_id=2461061

## საფრთხეებზე დაუსაბუთებელი აპელირება

**GEWORLD.GE, 26 ნოემბერი**

**გელა ხუციშვილი, რეზერვის პოლკოვნიკი და სასაზღვრო ჯარების სარდლის ყოფილი მოადგილე:** „დღეს სამცხე-ჯავახეთი სახიფათო რეგიონია, რადგან აქ სეპარატისტული განწყობა იგრძნობა. საქართველოში შექმნილია მუნიციპალიტეტთა საბჭო, რომელშიც შედის ბოლნისი, დმანისი, მარნეული და ნინოწმინდა; სომხეთის მხარეს კი - “რეგიონ ევროარმენია”. შესაძლოა, ჩანაფიქრი კეთილშობილურია, იგულისხმება ევროპის გაფართოება აღმოსავლეთისკენ, მაგრამ იმ სივრცეში ასეთი მოძრაობის დაწყება სახიფათოა.

სულ ახალი დაწყებულია ევროკავშირიდან გრანტების შემოსვლა, რომელიც ითვალისწინებს, ქვემო ქართლის მოსახლეობისთვის და სომხეთის ალავერდისთვის ერთობლივი პროექტების შექმნას. ამის დამგეგმავი არ საზღვრავს, რომ ბოლნისში, მარნეულსა და დმანისში ჭარბობს აზერბაიჯანული მოსახლეობა.“

http://geworld.ge/View.php?ArtId=6327

**GEWORLD.GE, 26 ნოემბერი**

**ალექსანდრე ჭაჭია, პოლიტოლოგი:** “ტერიტორიადაკარგული და ისედაც მცირემიწიანი საქართველოს მიწის უცხოელებისთვის მიყიდვას კვლავაც განაგრძობს ხელისუფლება. სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობა კი, რადგან მიწის დამუშავების სახსარი არ აქვს, ლუკმაპურის საშოვნელად უცხოეთში გარბის.”

http://geworld.ge/View.php?ArtId=6333

## ეთნიკურ კუთვნილებაზე დაუსაბუთებელი აპელირება

**კვირის ქრონიკა, 24-30 ნოემბერი**

**გიორგი ჯიქიაშვილი, ჟურნალისტი:** „დიახ, ივანიშვილის საქართველო შერცხვენილი და ნამუსახდილია, რადგან ტერ სააკიანის პირსისხლიანი ჯალათები, იმის ნაცვლად რომ გლდანსა და მატროსოვის ცხრაკლიტულში ბალანდას თქლეფდნენ, პარლამენტში კომფორტულად სხედან და კანონმდებლების სტატუსით სარგებლობენ!“

გაგრძელება გვ. 5

## რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია

**ასავალ-დასავალი, 24-30 ნოემბერი**

**გევორქ პეტროსიანი, ნიჭიერის მოანაწილე:** „ეს არის სექტა [იეჰოვას მოწმეთა ორგანიზაცია]. არ აქვს მნიშვნელობა მე გავაგრძელებ თუ არა სიმღერას, უბრალოდ, მინდოდა, მეჩვენებინა საზოგადოებისთვის, რომ მე როგორც მომღერალი, მოვკვდი და როგორც პიროვნება, აღმოვჩნდი სექტაში.“

**პრაიმ ტაიმი, 24 ნოემბერი**

**გევორქ პეტროსიანი, ნიჭიერის მონაწილე:** „საშუალება მომეცა, ხმამაღლა განმეცხადებინა, რომ სექტა, რომელშიც ვიყავი [იეჰოვას მოწმეები], მავნეა.”

**ასავალ-დასავალი, 24-30 ნოემბერი**

**ჯაბა ხუბუა, ჟურნალისტი:** "ძვირფასო მკითხველო, ვინ იცის, გევორქ პეტროსიანის დარად, გაჭირვებისა და სასოწარკვეთის გამო, რამდენ წესიერ ადამიანს შეუცდა ფეხი იეღოვას სექტაში, რამდენ ადამიანში ჩაკლა ბრწყინვალე ნიჭი ამ სექტამ და რამდენს მოუსპო ცხოვრებაში საკუთარი შესაძლებლობის რეალიზაციის საშუალება!.. როგორც ჩანს მოარული ხმები იმის შესახებ, რომ ბოკერია იეღოვას სექტის წევრია, რეალობისგან მთლად შორს არ უნდა იდგეს!"

**ნეტგაზეთი, 27 ნოემბერი**

**ნანუკა ჟორჟოლიანი, ჟურნალისტი:** "იეღოველები აგრესიულები ხომ არ არიან, არ მომივარდნენ"…"...თქვენ სიტყვას მაძლევთ, რომ აქ იეღოველები არ მომივარდებიან", "...კარგი ქენით, რომ წამოხვედით", "...იეღოველები და ზომბირებულები არიან?", "...გადაიბიროთ [მართლმადიდებლობისკენ] არასწორი სიტყვაა, მოვაქციოთ", "...ძაან მეშინია არ დამაგიპნოზონ".
http://www.netgazeti.ge/GE/105/News/38813/.htm

**GEWORLD.GE, 26 ნოემბერი**

**დავით მხეიძე, ავტორი:** „მისი უწმინდესობა ქართველ მართლმადიდებელთა პატრიარქია და არა იეღოველ-ხლისტების!“
http://geworld.ge/View.php?ArtId=6335

**ჯაბა ხუბუა, ჟურნალისტი:** "...რამდენ წესიერ ადამიანს შეუცდა ფეხი იეღოვას სექტაში, რამდენ ადამიანში ჩაკლა ბრწყინვალე ნიჭი ამ სექტამ და რამდენს მოუსპო ცხოვრებაში საკუთარი შესაძლებლობის რეალიზაციის საშუალება!”

## ჰომოფობია

**კვირის ქრონიკა, 24-30 ნოემბერი**

**შალვა ნათელაშვილი, ლეიბორისტული პარტია:** „ისტორიკოსები იმას კი არ გაიხსენებენ, რომ მან[ბიძინა ივანიშვილი] სამება ააშენა, არამედ ანტიდისკრიმინაციული კანონი რომ მიაღებინა და გეების აღლუმი ჩაატარა, ყოველ შემთხვევაში, ხელი არ შეუშალა. იმასაც გაუხსენებენ, "კაზანტიპი" რომ ჩაატარა.“

**პრაიმ ტაიმი, 24 ნოემბერი**

**სულიკო პავლიაშვილი, ქონების მართვის ყოფილი მინისტრი:** „მასტერი“(რეპერი, პავლიაშვილის შვილი) აშშ-ს კი არ ებრძვის ან ვინმეს შევიწროვებას ითხოვს, არამედ, საზოგადოების უმეტესობის სათქმელს ამბობს, რომ [ლგბტ] პროპაგანდა არ უნდა მიდიოდეს, თორემ ვისაც როგორ უნდა, ისე იცხოვროს.

**ეკა ჩიკვაიძე, ჟურნალისტი:** თუკი ასე ფიქრობთ, ორი წლის წინ, 17 მაისს რუსთაველზე „ტაბურეტკით“ რატომ არ გახვედით?”

გაგრძელება გვ. 6

## ჰომოფობია

### ასავალ-დასავალი, 24-30 ნოემბერი

**გიორგი გიგაური, ჟურნალისტი:** „ ეს ჩვენი ვითომ ჰუმანური ლიბერასტები, მარტივად რომ ვთქვათ, საქართველოს მოქალაქეებს უმტკიცებენ და აწვეთებენ ერთ რამეს: სომხეთს ჰყავს ცუდი, კაცთმოძულე ხელისუფლება და შესაბამისად, სომხები, რომლებიც საკმაოდ მაღალ ნდობას უცხადებენ საკუთარ ლიდერებს, კაცთმოძულეები არიან! ჩემი მოკრძალებული აზრით კი, არცერთი პედერასტის უკანალი არ ღირს ერთაშორისი ზიზღისა და შუღლის ჩამოგდებად!"

## გენდერული სტერეოტიპები

### ასავალ-დასავალი, 24-30 ნოემბერი

**ნინო გოძიაშვილი, ჟურნალისტი:** „როგორია წარმატებული ქალი? უბრალოდ, გაუმართლა და კარგი ქმარი შეხვდა თუ ნამდვილი ჯადოქარია? რა ქნას სუსტი სქესის წარმომადგენელმა, როცა გვერდით მამაკაცი არ ჰყავს?"



**ნინო ბურჯანაძე, ბურჯანაძე-გაერთიანებული ოპოზიცია:** "...ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისევე ვიმართებოდეთ დღეს ვაშინგტონიდან, როგორც საბჭოთა კავშირის დროს, მოსკოვიდან ვიმართებოდით. "

## ანტიდასავლური განწყობები

### ობიექტივი, ღამის სტუდია, 26 ნოემბერი

**დავით თარხან მოურავი, პატრიოტთა ალიანსი:** „ჩვენ რა უნდა გვიშველონ ამათმა [ნატომ]? აი, იმ საწვრთნელ ცენტრებსაც არ გახსნის, სადაც ვიღაც მეამბოხეები უნდა მოვამზადოთ და აფხაზეთში სიტუაცია ტრაგიკულად შეიცვლება...

ამერიკა, ევროპა და რუსეთი ერთმანეთში იომებენ უკრაინაში უკრაინელების ხარჯზე ან საქართველოში და ეს დამთავრდება საქართველოში ჯერ-ჯერობით სულ ტრაგიკულად მთავრდება...

ის იმპერიები, რომ ერთმანეთს ებრძვიან რამეს აგებენ ? ამერიკას რა რომელიმე შტატი მოაკლდა ? არა. ევროპას რამე მოაკლდა ? არა. რუსეთს პირიქით მოემატა. ეს იმპერიები ერთმანეთს ებრძვიან საქართველოსნაირი ქვეყნები იშლებიან და მერე ქრებიან რუქიდან."

http://www.myvideo.ge/?video_id=2461726
http://www.myvideo.ge/?video_id=2461768

### რეპორტიორი, 27 ნოემბერი

**ირმა ინაშვილი, პატიოტთა ალიანსი:** „ზოგიერთისთვის მიწები ნატო-ზე იცვლება. „მთავარია, შევიდეთ და ჯანდაბას, მარტო მცხეთა-თბილისით შევიდეთ",- ასეც მსჯელობენ. მე მინდა ნატო-ში, ტექნოლოგიებიც მინდა და სამხედრო დახმარებაც, მაგრამ მინდა ჩემი ქვეყნის მიწიანად და არა ტერიტორიების გარეშე... და ესეც რომ არ მოხდება?"

http://www.reportiori.ge/?menuid=3&id=46598

### პირველი, 26 ნოემბერი

**ნინო ბურჯანაძე, ბურჯანაძე-გაერთიანებული ოპოზიცია:** „ერთია, როცა კეკლუცობ და ილუზორულ ნატო-ს წევრობაში ძალიან ბევრ რამეს ცვლი და მეორეა დასავლეთთან ურთიერთობა...

დასავლეთთან კარგი მეზობლური ურთიერთობა უნდა გვქონდეს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისევე ვიმართებოდეთ დღეს ვაშინგტონიდან, როგორც საბჭოთა კავშირის დროს, მოსკოვიდან ვიმართებოდით. საქართველო თუ დამოუკიდებელია, არ უნდა იმართებოდეს არც ვაშინგტონიდან, არც ბრიუსელიდან, არც მოსკოვიდან და არც რომელიმე სხვა ქვეყნის დედაქალაქიდან".

http://pia.ge/show_news.php?id=28930&lang=geo

გაგრძელება გვ. 7

## ანტიდასავლური განწყობები

### პრაიმ ტაიმი, 24 ნოემბერი

**კახა თარგამაძე, შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი:** „მიშას „ბიძიებს“ ამერიკაში უნდოდათ რუსეთ-საქართველოს ომი და რაკი ამის საშუალება არ მივეცი, ამიტომ მოხდა ეს ყველაფერი...

გაკეთდა ის, რაც ამერიკულ სპეცსამსახურებს უნდოდათ. ამერიკელებს უნდოდათ, რომ აფხაზეთი და ოსეთი რუსებს ეღიარებინათ... სწორედ ამ ქვეყნების დავალებას ასრულებდა მიშა.“

### ობიექტივი, ღამის სტუდია, 28 ნოემბერი

**პეტრე მამრაძე, მთავრობის კანცელარიის ყოფილი უფროსი:** „მე მითქვამს ამერიკელი მეგობრებისთვის, პოლიტოლოგებისა და დიპლომატებისთვის, რომ აგერ ობამა ნაკლებად საყვედურობს პუტინს ყირიმის გამო, ვიდრე საყვედურობდა ელგებეტე სექსუალური უმცირესობათა უფლებების გამო სოჭის ოლიმპიადის წინ.“
http://www.myvideo.ge/?video_id=2461240

### ასავალ-დასავალი, 24-30 ნოემბერი

**გივი სიხარულიძე, მსახიობი:** „თამამი მწერლობა აგებული გახრწნილობაზე და გათახსირებულობაზე - შეუძლიათ დაწერონ ჩინელებმა, გერმანელებმა, ნიგერიელებმა, ამერიკელებმა და სხვებმა... ჩვენ ქართველები მცირერიცხოვანი ერი ვართ და მხოლოდ ზნეობა და პატიოსნება გადაგვარჩენს...

საერთოდ, უნდათ გახრწნან მცირერიცხოვანი ქვეყნები, მაგრამ საქართველოს გახრწნას ვერცერთი ქვეყანა ვერ მოესწრება! როდესაც გერმანიაში მინისტი კაცი კაცზე გათხოვდა და კანცლერმა ანგელა მერკელმა მსოფლიოს დასანახად მიულოცა, მაშინ ვთქვი, რა უფლება აქვს, აწი, მერკელს თავის ქვეყანაში ვინმეს მორალზე რამე მიუთითოსმეთქი. ღმერთის წინააღმდეგ წასული ადამიანი მორალზე არ უნდა საუბრობდეს! ჩემთვის მთელი ევროპა უკვე გახრწნილების ზღუდედ გადაიქცა! მათი პარადები მეზიზღება.“

### GEWORLD.GE, 26 ნოემბერი

**ალექსანდრე ჭაჭია, მოსკოვში მოღვაწე პოლიტოლოგი:** „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ გააფთრებული შეტევა “ვარდების რევოლუციის” გარიჟრაჟზე დაიწყო, როდესაც გლდანის ივერიის ყოვლად-წმინდა ღვთისმშობლის ეკლესიის კარი სატვირთო მანქანით შელეწეს უღმერთო “ნაციონალებმა”, შემდეგ კი მრევლს სასტიკად გაუსწორდნენ. ეს გააფთრებული ბრძოლა, რომელიც ე. წ. გლობალისტების მხარდაჭერილ-დაფინანსებულია, დღესაც გრძელდება. ებრძვიან საქართველოს პატრიარქს, ებრძვიან მართლმადიდებლობას, რათა ქართველ ერს ის საყრდენი გამოაცალონ, რომელზეც აქამდე იდგა.”
http://geworld.ge/View.php?ArtId=6333

### ასავალ-დასავალი, 24-30 ნოემბერი

**მიხეილ ცაგარელი, ასტროლოგი:** „გაუმარჯოს ევროპას - მაგრამ, რა ხეირი, ეკონომიკა აღორძინდა და მიწები დაგვიბრუნდა?“

### ობიექტივი, ღამის სტუდია, 25 ნოემბერი

**ტელემაყურებელი:** „რუსეთუმე მქვია მე და ვაფშე პუტინისტი გავხდი ამ ამერიკის პოლიტიკის შემხედვარე, ამ საზიზღარი ორმაგი პოლიტიკის... ეს 25 წელი, რაც ჯოჯოხეთში გვატარა, მე ვფიქრობ ამერიკამ და ამ დასავლეთმა, ნუ ჩვენ თვითონ უნდა განვსაზღვროთ ახლა."
http://www.myvideo.ge/?video_id=2459138

### ობიექტივი, ღამის სტუდია, 28 ნოემბერი

**ტელემაყურებელი:** „და დღეს ჩვენ რომ დასავლეთს, დასავლეთის ზოგიერთ ძალას ვჭირდებით იმისთვის, რომ ჩვენ რუსეთს გადაგვაწნას როგორც წკეპლა და გამოიწვიოს შემდეგ რაღაც კრიზისები, რის გამოც რუსებს სანქციებს დაუწესებენ და ამაში რომელიღაცა ქვეყნები მილიარდებს იხეირებენ ვერ გრძნობთ რომ ეს არის ჩვენთვის ძალიან მავნებელი და მავნებელი კი არა დამღუპველი.“
http://www.myvideo.ge/?video_id=2461245

გაგრძელება გვ. 8

## ანტიდასავლური განწყობები

დასაწყისი გვ. 7

### კვირის ქრონიკა, 24-30 ნოემბერი

**მამისა ჯაფარაშვილი, ივერიონთა კავშირი:** ,,დროა, მთელი სისტემა შეიცვალოს, გვეყოფა სოროსების, ნორლანდების მიერ მართული ხელისუფალი და საერთოდ, მივმართავ ნორლანდსაც და სოროსსაც - გაეთრიეთ ჩვენი ქვეყნიდან, გვაცალეთ ქართველებს ჩვენი ქვეყნის მართვა, დაგვანებეთ ჩვენი ქვეყანა!"

### კვირის ქრონიკა, 24-30 ნოემბერი

**ნანა დევდარიანი, გლობალური კვლევების ცენტრი:** ,,ჰუმანიზმი მოიკითხოს ნორლანდმა შეერთებულ შტატებში...მოიკითხოს ის, თუ რატომ დაუშვა ბუშმა ტერორისტი პატიმრების წამება, მაშინ, როცა ყველა საერთაშორისო კანონი კრძალავს წამებას!"

### ასავალ-დასავალი, 24-30 ნოემბერი

**ჰამლეტ ჭიპაშვილი, პოლიტოლოგი:** ,,ეს ის ხალხია, ვინც თითქმის 20 წელიწადია, დასავლეთის პოლიტიკოსებთან ერთად და მათი კარნახით, საქართველო დასავლეთის მონად, კოლონიად აქცია."

### ობიექტივი, ღამის სტუდია, 30 ნოემბერი

**ჰამლეტ ჭიპაშვილი, პოლიტოლოგი:** ,,რას აკეთებს ეს საელჩოები არავინ არაფერი არ იცის... ამ რკინიგზის წინააღმდეგი უპირველეს ყოვლისა ვინ იქნება? არის ამერიკის შეერთებული შტატები უდავოდ... ეხლა რაც შეეხება იმას, რომ შენ აქ აპირებ აი იმ სასწავლო ცენტრის შექმნას ნატოს ეს არის ძალიან სერიოზული ამბავი. აქ არის გასათვალისწინებელი, ბატონო ვალერი, არა მარტო რუსული ფაქტორი, არამედ ირანული ფაქტორიც... ირანი უფრო მეტი სუვერენულია, უფრო მეტი დამოუკიდებელია, ვიდრე მთელი ევროპის 28 ქვეყანა."

http://www.myvideo.ge/?video_id=2461840

### ასავალ-დასავალი, 24-30 ნოემბერი

**არნო ხიდირბეგიშვილი, საქინფორმი:** ,,ყოველთვის, როცა დღევანდელი ხელისუფლება აცხადებს, რომ ნატო და ევროკავშირი არის ქართველი ხალხის და არა ქართველი პოლიტიკოსების არჩევანი, ის მკვეთრად კარგავს თავის რეიტინგს იმავე ქართველი საზოგადოების თვალში და უთანაბრდება სააკაშვილის რეჟიმს. ფაქტია - ხალხი ვერა და ვერ იხსენებს, როდის გააკეთა მან არჩევანი ნატო-სა და ევროკავშირის სასარგებლოდ..."

### კვირის ქრონიკა, 24-30 ნოემბერი

**გელა ზედელაშვილი, ჟურნალისტი:** ,,გამოდის ამ ხელშეკრულებაზე [ასოცირების] ჩვენ ხელი მხოლოდ იმიტომ მოვაწერეთ, რომ ისედაც დამძიმებული ცხოვრება უფრო დავიმძიმოთ...

ნივრის შეტანა-გამოტანა ხდება ორმხრივად და დაახლოებით მივიღებთ ისეთ სურათს, ორი წლის წინათ არაბებმა თუ ირანელებმა საქართველოდან ნიორი მთლიანად რომ გაიტანეს, მერე ირანული შემოიტანეს და ის ნაგავი გვაჭამეს...

დიახ, თქვენ ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა ლობიოს ჭამა არ გეგონოთ, მალე დანა-ჩანგალსაც კი დაგვითვლიან, რათა ჰქონდეთ რეალური მონაცემები. სადაც ქათმისა და ინდაურის კურტუმებს გვითვლიან, უახლოეს ხანში ხელებსა და ფეხებზე თითებსაც დაგვითვლიან. ეს ვალდებულებაა, ხალხო, აბა, როგორ გინდათ?!"

გაგრძელება გვ. 9

## ანტიდასავლური განწყობები

### კვირის ქრონიკა, 24-30 ნოემბერი

**გიორგი ჯიქიაშვილი, ჟურნალისტი:** "დიახ, ჩვენს ადგილას ღირსეული საზოგადოება აღსდგებოდა და უსუფაშვილს, რომელიც პირდაპირ გიცხადებს, კიდევ 20 წელი გვჭირდება იმისთვის, რომ ძაღლთაპირ სოროსის ფულით საქართველო ბოლომდე გავრყვნათ, გავათახსიროთო, ბოლომდე წირვას გამოუყვანდა"...

### კვირის ქრონიკა, 24-30 ნოემბერი

**გიორგი ჯიქიაშვილი, ჟურნალისტი:** „საუბედუროდ დასავლეთს სწორედ ასეთი ჯამბაზი [მიხეილ სააკაშვილი] სჭირდება დღეს საქართველოს ხელისუფლებაში.“

### კვირის ქრონიკა, 24-30 ნოემბერი

**ლევან ჯავახიშვილი, ჟურნალისტი:** „ეს ამერიკის ელჩი, რიჩარდ ნორლანდი დეიდა ვასასივით გამოვარდება და ყველაფერში თავის გაწითლებულ ცხვირს ჰყოფს. ნორლანდმა დიპლომატიურად მიანიშნა, რომ უმჯობესი იქნება, თუ გასაღები სასამართლოს ხელში იქნება, ჩვენთან ამერიკაში ასეაო... ახლა, მთელ მსოფლიოს უკანონოდ უსმენენ და ვინმეს გჯერათ, რომ, თუ დასჭირდათ ამერიკის სპეცსამსახურებს, საკუთარ მოქალაქეებს არ მოუსმენენ?“

## რეაგირება

დასაწყისი გვ. 1

საჩივრის ავტორები მიესალმებიან იმ ფაქტს, რომ გადაცემას ტელეკომპანიის მენეჯმენტის მხრიდან გამოხმაურება და ბოდიში მოჰყვა, რაც პასუხისმგებლიანი დამოკიდებულების გამოხატულებაა, მაგრამ ამავე დროს აღნიშნავენ: "იმისათვის, რომ არ მოხდეს მსგავსი ინციდენტების მხოლოდ უნებლიე შეცდომად და გარე სტუდიის პასუხისმგებლობის საკითხად აღქმა, მნიშვნელოვანია ამ შემთხვევის თვითრეგულირების ფორმატში, მაუწყებელთა ქცევის კოდექსის საფუძველზე განხილვა და პასუხისმგებლობების სრულფასოვანი გააზრება."

ვინაიდან კოდექსის მოთხოვნათა დაცვის ვალდებულება, დოკუმენტის 1.3 მუხლის თანახმად, თავად მაუწყებელს ეკისრება და არა ამა თუ იმ სუბიექტს, ვინც მაუწყებლის დაკვეთით ქმნის გარკვეულ შინაარსს, ორგანიზაციები შემდეგი რეკომენდაციით მიმართავენ რუსთავი 2-ს: "მაუწყებელთა ქცევის კოდექსის ეფექტიანი დანერგვის მიზნით, გარე სტუდიებთან დადებულ ხელშეკრულებებში ასახოს მაუწყებელთა ქცევის კოდექსის დებულებათა დაცვის ვალდებულება, რაც მომავალში მსგავსი შემთხვევების პრევენციას შეუწყობს ხელს".

ამასთანავე საჩივარში მითითებულია ქცევის კოდექსის სხვა მუხლების დარღვევის მაგალითები:

"ნეგატიურ კონტექსტში იეჰოვას მოწმეთა არაერთგზის მოხსენების გარდა, წამყვანმა გამოხატა პირადი დამოკიდებულება, როდესაც მრწამსის შეცვლის საკითხი, რაც ინდივიდუალური არჩევანია, პოზიტურად შეაფასა ("მე მეშინია მაგათი... კარგი ქენით, რომ წამოხვედით")", - აღნიშნულია საჩივარში და მითითებულია, რომ ეს გარემოება საავტორო გადაცემის წამყვანისთვის დადგენილი კოდექსის 17.2 მუხლის დარღვევას წარმოადგენს.

საჩივრის ავტორთა აზრით, ასევე დარღვეულია სამართლიანი მოპყრობის პრინციპი (მუხლი 21): "როდესაც რესპონდენტი მედიას სხვა ჯგუფზე თავხდასხმისთვის იყენებს, წამყვანმა არათუ არ უნდა გაამძაფროს ნეგატიური განწყობები და უპირობოდ გაიზიაროს მისი შეხედულებები, არამედ ოპონირება გაუწიოს მას, მით უფრო, როდესაც საქმე მგრძნობიარე ჯგუფს ეხება და ამ კონტექსტში არასწრულწლოვანიც არის მოხსენიებული".

ორგანიზაციები რუსთავი 2-ის თვითრეგულირების ორგანოს კოდექსის 31, 32, 33 მუხლების დარღვევის შესწავლასაც თხოვენ, რაც მრავალფეროვნების, თანასწორობისა და შემწყნარებლობის საკითხების გაშუქებას არეგულირებს და რომელთა მიზანია, მედიამ ხელი არ შეუწყოს სტერეოტიპების ჩამოყალიბებას და არ წაახალისოს შეუწყნარებლობა განსხვავებული იდენტობის ადამიანების მიმართ.



www.mdfgeorgia.ge ილ. ჭავჭავაძის გამზირი №54, ქ.თბილისი, საქართველო, 0179 , mdfgeo@gmail.com
www.gdi.ge დ.გამრეკელის #2, ქ.თბილისი, საქართველო, 0179 , info@gdi.ge